

## ლალი ფაფიაშვილი ავტობიოგრაფია

დავიბადე 1972 წელს ქ. თბილისში. 1989 წელს დავამთავრე ქ. თბილისის #2 ექსპერიმენტული საშუალო სკოლა (ვერცხლის მედალი). 1994 წელს წარჩინებით დავამთავრე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლისმცოდნეობის ფაკულტეტი. 1997წელს დავამთავრე ამავე უნივერსიტეტის ასპირანტურა და დავიცავი საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „დაცვის პრობლემა სისხლის სამართლის პროცესში“ და მომენიჭა იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი, ხოლო 2000წლის 31 იანვარს - დოცენტის სამეცნიერო- პედაგოგიური წოდება. 1997წლიდან დღემდე ვეწევი სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობას ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. 2012 წლიდან ვარ ლატვიის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ჟურნალის „Journal of the University of Latvia. Law“ სარედაქციო საბჭოს წევრი.

2017-2007 წლებში ვიყავი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი, თავმჯდომარის მოადგილე ( 2017-2016წ); 2007-2004წლებში - საქართველოს პარლამენტის წევრი, ადამიანის უფლებათა დაცვის და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, იურიდიულ საკითხთა კომიტეტის წევრი. 2003-1996 წლებში ვმუშაობდი საქართველოს პარლამენტის აპარატის სხვადასხვა თანამდებობებზე - საქართველოს პარლამენტის საკონსტიტუციო, იურიდიულ საკითხთა და კანონიერების კომიტეტის უფროსი სპეციალისტი (1997-1996), წამყვანი სპეციალისტი (2000-1997 წლებში), საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის აპარატის უფროსი ( 2001-2000წწ.), პარლამენტის თავმჯდომარის პირველი თანაშემწე ( 2003-2001 წწ), პროტოკოლის განყოფილების გამგე ( 2004-2003წ); 1996-1994 წლებში ვმუშაობდი შრომისა და წარმოების ორგანიზაციის სახელმწიფო სასწავლო ინსტიტუტის უფროს მასწავლებლად.

2013-2006 წლებში ვიყავი სხვადასხვა კომისიების/საბჭოების წევრი. მათ შორის: ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის საუწყებათაშორისო კომისიის თავმჯდომარე (2014-2006წწ), ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს წევრი ( 2011-2006), ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის სტატუსის მიმნიჭებელი მუდმივმოქმედი სამუშაო ჯგუფის წევრი (2011-2008), სამართლებრივი რეფორმების კოორდინაციის ხელშემწყობი კომისიის წევრი (2007-2006წწ), რუსეთის ხელისუფლების მიერ საქართველოს მოქალაქეთა მიმართ განხორციელებული ქმედებების შემსწავლელი დროებითი საგამომიებო კომისიის წევრი (2007 - 2006 წწ.).

ვიყავი საქართველოს დელეგაციის წევრი ევროპის საბჭოს ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ad hoc კომიტეტში (CAHVIO) ( 2011-2009წწ), ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის ადამიანის უფლებების და ჰუმანიტარულ საკითხთა კომიტეტის წევრი (2007-2004წ), არჩეული ვიყავი ორგანიზაცია ”პარლამენტარები გლობალური ქმედებებისათვის” (აშშ) გამგეობის წევრად და ”მშვიდობის და დემოკრატიის პროგრამის ხელმძღვანელის მოადგილედ (2007-2005წწ), ვილტონ პარკის საერთაშორისო ასოციაციის წევრი (2007-2005), ქალ პარლამენტართა ქსელის GlobalPOWER (აშშ) წევრი ( 2007-2006).

მიღებული მაქვს მაქს პლანკის საზოგადოების სტიპენდია (2018წ) და DAAD სტიპენდია (2013წ), შვეიცარიის მთავრობისა და შვეიცარიის საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტის ერთობლივი ყოველწლიური ჯილდო ”შვეიცარიის პრიზი საერთაშორისო ურთიერთობებში ლიდერობისათვის” (2005წ). მომენიჭა ახალი ორლეანის საპატიო მოქალაქეობა (1999წ).

გავლილი მაქვს პრაქტიკა საადვოკატო ფირმა “GEFFENS” -ში (UK), ასევე ტრენინგები ადამიანის უფლებათა სამართალში (ევროპული სამართლის ინსტიტუტი, ბირმინგჰემის უნივერსიტეტი (19998წ), მასტრიხტის და ლუვენის უნივერსიტეტის ერთობლივი პროგრამა 1999წ), ევროპულ სამართალში, (ტორუნის უნივერსიტეტის და ევროპის მეცნიერებათა ჟან მონეს ცენტრი, 1997წ), საჯარო სამართლის საკანონმდებლო ტექნიკის საკითხებზე (ახალი ორლეანის საჯარო სამართლის კანონშემოქმედებითი საქმიანობის საერთაშორისო ცენტრი, 1999წ), სამართლის თეორიასა და სასამართლო კონტროლის ( 1998წ CEU), საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის საკითხებში ( ICRC, 2000წ; SDC და ჟენევის საერთაშორისო სწავლებათა ინსტიტუტი, 2002 წ), ვარ ჯ. სმიტის პროგრამის მონაწილე ( ბრიტანეთის საბჭო, 2007წ) და სხვა.

გამოქვეყნებული მაქვს 30-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი.

მყავს 1 შვილი.